

სპორტისა და ახალგაზრდობის განყოფილების 2015 წლის პროგრამები

1. „სპორტული ღონისძიებები

პროგრამის ფარგლებში ჩატარდა შემდეგი ღონისძიებები:

- რუსუდან სიხარულიძის სახელობის საერთაშორისო ტურნირი ტანვარჯიშში;
- ევროპის ჩემპიონატი ბილიარდში;
- საერთაშორისო ტურნირი ტაეკვონდოში;
- მუხრან ვახტანგაძის სახელობის საერთაშორისო ტურნირი ბერძნულ რომაულ ჭიდაობაში;
- საერთაშორისო ტურნირი კალათბურთში ვ.ალთაბაევის თასზე;
- საერთაშორისო ტურნირი წყალბურთში პეტრე ბრეუსის თასზე;
- საერთაშორისო ტურნირი ქვიშის ფრენბურთში;
- საერთაშორისო ტურნირი სპორტულ ცეკვებში;
- ბათუმელ სპორტსმენთა მხარდამჭერი ღონისძიებები;
- ტურნირი ჩოგბურთში მერიის თასზე;
- სპორტის სხვადასხვა სახეობებში ტურნირებისა და შეჯიბრებების ორგანიზება;
- გ. მენაბდის სახელობის ტურნირი ფეხბურთში;
- 13.სპორტის დამსახურებულ მოღვაწეებთან საახალწლო-საშობაო შეხვედრა.

2. „ახალგაზრდობის საქმეთა ღონისძიებები“

პროგრამის ფარგლებში ჩატარდა შემდეგი ღონისძიებები:

- ინტელექტუალური თამაშები რა? სად? როდის?;
- ბათუმელი ახალგაზრდების პიროვნული უნარებისა და სამოქალაქო პასუხისმგებლობის განვითარების ხელშეწყობა;
- ბათუმის ახალგაზრდული თეატრალური კვირეული;
- სამთო ახალგაზრდული ბანაკი;
- სტუდენტ-ახალგაზრდული დღეები;
- აქტიური ახალგაზრდა მოხალისე;
- 7. ბათუმელი ახალგაზრდების ინდივიდუალური განვითარების ხელშეწყობა.

3. „საზაფხულო სტუდენტური დასაქმება“

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიამ დაიწყო „საზაფხულო სტუდენტური“ დასაქმების პროგრამის განხორციელებას 3 აგვისტოდან 3 სექტემბრის ჩათვლით.

პროგრამაში მონაწილეობის უფლებას აქვს ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულში 2015 წლის 1 იანვრამდე რეგისტრირებულ სტუდენტებს, რომლებიც სწავლობენ აკრედიტირებულ პროფესიულ ან უმაღლეს სასასწავლებლებში. სტუდენტები

დასაქმდებიან ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის სტრუქტურულ ერთეულებსა და მერიის მიერ დაფუძნებულ კერძო სამართლის იურიდიულ პირებში.

პრიორიტეტი კომისიური გადაწყვეტილებით მიენიჭება შემდეგ სტუდენტებს:

ა) სოციალურად დაუცველი;

ბ) მრავალშვილიანი ოჯახიდან (ოთხი ან მეტი შვილი) მიკუთვნებული სტუდენტები;

გ) მზრუნველობამოკლებული (დედით ან მამით ობოლი) სტუდენტები;

დ) შშმ სტატუსის მქონე სტუდენტები;

ე) სტუდენტი, რომელიც არის საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლაში დაღუპულის ან გარდაცვლილად გამოცხადებულის ან უგზო-უკვლოდ დაკარგულად აღიარებულის შვილი;

ვ) სტუდენტები, რომლებიც აქტიურ მონაწილეობას იყვნიან ჩართულნი ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ ინიცირებულ პროგრამებში (ეკოლოგიის, გამწვანების, გაწმენდით, სამუშაოებში ან სხვა აქტივობებში).

პროგრამის ფარგლებში, ერთი თვის განმავლობაში დასაქმდება 300 (სამასი) სტუდენტი, თითოეული დასაქმებული სტუდენტის მიერ გაწეული შრომა ანაზღაურდება 400 (ოთხასი) ლარის ოდენობით, საშემოსავლო ღირებულების გადასახადის ჩათვლით.